

# ავტოდაზღვევა საქართველოში და მისი განვითარების ტენდენციები

მაია დოლიძე

ნანა ნარიმანიძე

გურამ სარალიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების  
(სადაზღვევოს საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*მაია დოლიძე*

*ნანა ნარიმანიძე*

*გურამ სარალიძე*

*19.06.2014*

## აბსტრაქტი

ავტოსატრანსპორტოსაშუალებების დაზღვევა, ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი ინდუსტრიულ ქვეყნებში. საქართველოში კი ავტოდაზღვევა განვითარების ნელი ტემპით ხასიათდება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, საქართველოში, ავტოდაზღვევაზე უაროფითად მოქმედი და პროდუქტის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ ჩატარებული კვლევის ანალიზს.

თემის დასაწყისში განხილულია პრობლემის აქტუალობა და ავტოდაზღვევის მნიშვნელობა, დაზღვევის მსოფლიო კულტურა და საქართველო. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია დაზღვევის ექსპერტების და სხვა პასუხისმგებელი პირების ინტერვიუები და განვითარების პერსპექტივების შეფასებები.

თემის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კვლევა. კვლევით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, 100 გამოკითხული ავტომფლობელი, მათი დამოკიდებულება ავტოდაზღვევის პროდუქტით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის დასადგენად დამიღებული შედეგების ანალიზი.

კვლევის შედეგებს ადამათ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, შემუშავებულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ავტოდაზღვევის პროდუქტის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომხმარებელთა შორის საკითხის აქტუალობის წინ წამოწევასა და ნდობის მოპოვებაზე. რეკომენდაციები ითვალისწინებს იმ საკვანძო საკითხების დაგახედვა-დამუშავებას, რომელიც ხელს უშლის და ავტომფლობელთათვის მიუწვდომელს

ხდის პროდუქტის მოხმარებას, იქნება ეს სატარიფო პოლიტიკა თუ რთული ბიუროკრატიული პროცედურები მათი შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**ძირითადი აძიების ტყვები:** ავტოდაზღვევა, ავტოდაზღვევის განვითარება, სავალდებულო ავტოდაზღვევა, ავტომფლობელი.

## Abstract

Auto insurance is one of the most important vehicles produced in industrialized countries, but in Georgia it is characterized by slow motor development. The present work represents a negative force in Georgia among Motor Research on the analysis and product development obstacles.

In the beginning of dissertation there is a discussion about the importance of auto insurance, health insurance, Georgia and World insurance Culture. The paper also represents the interviews of insurance experts and other people's opinion who are responsible for the development of interviews and evaluations.

The main part of the dissertation is research. In the section of the research there is a research methodology part with the interviews of 100 car owners, also, there are their attitudes towards insurance products in order to determine the level of satisfaction based on the results of the analysis.

Based on the research results and their significance, the conclusion has been developed, insurance product development largely dependson the issue among consumers. Recommendations include the key issues of revision process which makes product inaccessible for the car owners

**Key search words:** Motor Insurance, Motor Development, compulsory motor insurance, car owner.

## მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის დანაშრომის შექმნაში შეტანა ილიუდიდესიწვლილისთვის, დიდმა დლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ჯანდაცვის ადადაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას.

ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა დამენეჯმენტი“ დოქტორანტს, მაგდასათიანს.

კვლევის სრულყოფილად წარმოებისთვის გაწეული დახმარებისთვის, გულისხმიერებისა და თანამშრომლობისათვის თითოეულ რესპოდენტს ვუხდით მადლობას რომელთა მეშვეობით საშუალება მოგვეცა უშულოდ გავცნობოდით საკითხის პრობლემას.